

ზოგადი განათლების რეფორმა საქართველოში-ისტორიული რაკურსი /1991 წლიდან დღემდე/

ქეთევან ჭკუასელი¹, რუსუდან სანაძე², ზაქარია ქიტიაშვილი³

¹ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის, განათლების მეცნიერებათა დეპარტამენტის ხელმძღვანელი, პროფესორი

²ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტი, განათლების მეცნიერებათა დეპარტამენტი, ასოცირებული პროფესორი

³ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტი, განათლების მეცნიერებათა დეპარტამენტი ასისტენტ-პროფესორი

ანოტაცია

სტატიაში განხილულია საქართველოში ზოგადი განათლების რეფორმის საკითხები 1991 წლიდან დღემდე. ავტორების მიერ, განათლების რეფორმის სტრუქტურულიზაცია, შინაარსის მიხედვით, პირობითად ოთხ ეტაპადაა წარმოდგენილი: **რეფორმის პირველი ეტაპი - 1991- 1996 წლები** - რეფორმა საკუთრივ ქართული ძალებითა და ქართული ორიენტაციით მიმდინარეობდა, **რეფორმის მეორე ეტაპი - 1996 – 2003 წლები** - საქართველოში დონორი ორგანიზაციების შემოსვლა, რადიკალურად შეიცვალა განათლების ვექტორი - ქართული ორიენტაციიდან გადავიდა საერთაშორისო ორიენტაციაზე, **რეფორმის მესამე ეტაპი - 2003 – 2012 წლები**, ვარდების რევოლუცია - მეორე ეტაპის ორიენტაციის განხორციელება „შოკური თერაპიით“ - რეფორმა კრახით დასრულდა. **რეფორმის მეოთხე ეტაპი - 2012 წლიდან დღემდე** - ახალმა ხელისუფლებამ დაიწყო განათლების სისტემის მარეგულირებელი დოკუმენტების ცვლილებები, თუმცა საგანმანათლებლო ვექტორის რადიკალური მოზრუნება ჯერჯერობით არ იგრძნობა.

რეფორმის ეტაპები, ძირითადად, განხილულია იმ ფაქტობრივი მასალის საფუძველზე, რომელიც ასახულია ოფიციალურ დოკუმენტებსა და ვებ-გვერდებზე. თითოეული ეტაპის განხილვის შემდეგ, ავტორთა მიერ წარმოდგენილია შესაბამისი ანალიზები და დასკვნები.

საკვანძო სიტყვები: განათლების რეფორმა, ეტაპი, საერთაშორისო ორგანიზაცია

1991 წელს საქართველო, რეფერენდუმის საფუძველზე, გამოეყო საბჭოთა კავშირს და მოიპოვა დამოუკიდებლობა. ბუნებრივია, შეიცვალა ქვეყნის განვითარების პოლიტიკური კურსი. ერთი მხრივ, მოხდა საბჭოთა სივრციდან გამოსვლა, ხოლო, მეორე მხრივ - დასავლური სივრცისკენ ორიენტაცია. ეს პროცესები აისახა ქვეყანაში მოქმედ ყველა სფეროზე. დაიწყო სერიოზული რეფორმების გატარება განათლების სისტემაშიც.

ზოგადი განათლების რეფორმა საქართველოში, 1991 წლიდან მოყოლებული, პირობითად, ოთხ ეტაპად შეიძლება დავყოთ.

რეფორმის პირველი ეტაპი - 1991- 1996 წლები

ეს პერიოდი საქართველოსთვის სოციალური და ეკონომიკური ქაოსით ხასიათდება, სოციალურით, ვინაიდან საბჭოთა სივრციდან გამოსვლის პროცესებს მოჰყვა ღირებულებათა გადაფასება, „საბჭოთა ხატის“ ნიშნით ყოველგვარი ღირებულების უარყოფა და ახალი მენტალობის ფორმირება. ეკონომიკურით, ვინაიდან საქართველოში შეწყდა ყოველგვარი წარმოება, რომელიც მიზნული იყო რუსეთის წარმოებასთან. საქართველო, როგორც რუსეთის დოტაციაზე მყოფი რესპუბლიკა, ეკონომიკურ კრიზისში აღმოჩნდა. მკვეთრად დაეცა დანახარჯები განათლების სექტორშიც. 1990-1994 წლებში საქართველოში მშპ(მთლიანი შიდა პროდუქტი) შემცირდა 75%-ით, რასაც მოჰყვა მთავრობის ბიუჯეტის მნიშვნელოვანი შემცირება. 1994 წელს საქართველოში განათლების სექტორზე მოდიოდა მშპ-ს 1% - ზე ნაკლები. ეს იყო საოცარი შემცირება, „რომელსაც ანალოგი არ გააჩნია მსოფლიო მასშტაბით განათლების სისტემების ისტორიაში“¹.

საქართველოში მშპ-ს პროცენტული წილი განათლების სექტორზე ამ წლების მიხედვით 1991 – 7%; 1993 - 2% ; 1994 – 1%;

მსოფლიოში ამ წილის საშუალო მაჩვენებელი დაახლოებით 5%-ს შეადგენს ²

/მსოფლიო ბანკისა და (Silova, Budiene, & Bray, 2006) მიხედვით

მიუხედავად ზემოთ აღწერილი კრიზისისა, ქართველი ხალხის განწყობა და შემართება ამ პერიოდში ძალზე მაღალი იყო. ქართველმა ხალხმა, ორსაუკუნეანი მონობის შემდეგ, მოიპოვა დამოუკიდებლობა და დაიწყო ახალი სახელმწიფოს შენება, აირჩია დასავლური ორიენტაცია და განაცხადა მსოფლიო თანამეგობრობის სრულყოფილებიანი წევრობის სურვილი.

საქართველოს განათლების სისტემის მოწყობა, რუსეთის ხელისუფლების 200-წლიანი ბატონობის შემდეგ, პირველად, საქართველოს სახელმწიფო ინტერესების, ქართველი ხალხის ნების შესაბამისად დაიწყო.

სახელმწიფოში ამ მიმართებით გატარდა რიგი ღონისძიებებისა. კერძოდ, განათლების სამინისტროს ინიციატივით შეიქმნა საქართველოს განათლების კონცეფცია/1990/

დაიწყო ქართული საგანმანათლებლო სტანდარტების შემუშავება/1993/

შეიქმნა განათლების სისტემის რეფორმის კომიტეტი/1993/

გაიწერა განათლების რეფორმის სახელმწიფო პროგრამა/1994/

რეორგანიზაცია განიცადა განათლების სამინისტროს სტრუქტურამ/1994/

საპარლამენტო კომისიამ შეიმუშავა განათლების კონცეფცია /1995/

მინისტრის კაბინეტის დადგენილებით დაიწყო „ განათლების რეფორმის სახელმწიფო პროგრამის რეალიზაცია /1995/

შეიქმნა დებულება საქართველოს პედაგოგთა ატესტაციის შესახებ/1996/

დაიწყო ზოგადი განათლების კანონის შემუშავება - შეიქმნა სამუშაო ჯგუფი/1996/

დაიწყო ორიგინალური ქართული სახელმძღვანელოების შექმნა და სხვ.

კიდევ ერთხელ უნდა აღინიშნოს, რომ ეს პროცესები უმძიმესი ეკონომიკური და სოციალური პრობლემების ფონზე მიმდინარეობდა.

1991- 96 წლებში, ვიდრე საქართველოში შემოვიდოდნენ დონორი ორგანიზაციები, საქართველოს განათლების სისტემის რეფორმები საკუთრივ ქართული ძალებითა და

ქართული ორიენტაციით ვითარდებოდა. თუმცა ეკონომიკური და სოციალური კრიზისები ქვეყნის განვითარებისა წინსვლის საშუალებას არ იძლეოდა.

რეფორმის მეორე ეტაპი - 1996 – 2003 წლები

საქართველოში მშპ-ს პროცენტული წილი განათლების სექტორზე ამ წლების მიხედვით 1998 – 2.4%; 2004 - 2.3%

1995 წლიდან, საქართველოში დაიწყო შემოსვლა დონორმა ორგანიზაციებმა, რომელთა გრანტებმა ქართული მოსახლეობა, ფაქტობრივად, იხსნა შიმშილისაგან. მათი პროექტების საშუალებით, საქართველოს საგანმანათლებლო სივრცე გაეცნო და დაუახლოვდა საერთაშორისო საგანმანათლებლო სივრცის მოთხოვნებსა და დაკვეთებს. შესაბამისად, ამ პროცესებს, ბუნებრივია, მოჰყვა ღირებულებათა გადაფასება, ახალი მენტალობის ფორმირება, რომელშიც, თითქოსდა, ადგილი აღარ დარჩა საკუთარი ტრადიციებისა და ფასეულობებისათვის. განსაკუთრებით გაურკვეველ სიტუაციაში აღმოჩნდა პედაგოგთა ფენა. განათლების რეფორმამ მოითხოვა ახალი პედაგოგიური მიდგომები და სტრატეგიები, რაც სრულიად უცხო იყო საბჭოთა პედაგოგიკისათვის და მასთან ინტეგრირებული ქართული პედაგოგიკური ტრადიციებისათვის. მიუხედავად ამ სახის პრობლემებისა, აღმავალი ძვრები ეკონომიკურ და სოციალურ სფეროებში, მოქალაქეობრივი მენტალობის განცდაში, ქვეყანაში მაინც დაიწყო.

მოვიტანთ დონორი ორგანიზაციების პროექტების შედეგად განხორციელებული აქტივობების ზოგიერთ მაჩვენებელს:

1996 - მსოფლიო ბანკი - 60-მილიონიანი ტრანში,

1996 - ღია ორგანიზაცია - საქართველო - „სკოლამდელი განათლება - ნაბიჯ-ნაბიჯ პროგრამა“, სხვადასხვა საგანმანათლებლო პროგრამა სწავლების ყველა საფეხურზე.

1999 - იუნისეფი - „აქტიური სწავლა“,

1999 - მსოფლიო ბანკი - რეფორმის პრობლემატიკა და ახალი განათლება

2001 - ღია ორგანიზაცია - საქართველო - „მასწავლებელთა საუნივერსიტეტო მომზადება“

ეს აქტივობები დღემდე გრძელდება სხვადასხვა პროექტის სახით

ამ პროექტების განხორციელების შესაბამისად, საჭირო გახდა საკანონმდებლო დონეზე ძველი სტრუქტურების გაუქმება და ახლი სტრუქტურების შექმნა, რომლებიც, ფაქტობრივად, იმავე ფუნქციებს ატარებდნენ, მაგრამ ახალი შინაარსით. ახალი შინაარსს კი ვერ მოირგებდა ძველი ფორმა და ძველი კადრი. კერძოდ, ამ პერიოდში საქართველოს საგანმანათლებლო სივრცეში განხორციელდა ღონისძიებები:

2000 - ყველა რაიონის მეთოდური ცენტრების ლიკვიდაცია - სისტემა დიდხანს დარჩა ამ ფუნქციის გარეშე, /მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრის შექმნამდე - 2007/

2002 - რაიონული განათლების განყოფილებების ლიკვიდაცია და მათ ნაცვლად რესურს - ცენტრების შექმნა - სამინისტროსთან

2000 - შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრისა და სასწავლო გეგმების ცენტრის დაარსება - სამინისტროსთან

2000 - განათლების პროგრამების ცვლილება

2000 - განათლების პროექტის განხორციელების კომისიის შექმნა

2001 -სამეცნიერო მეთოდური და ესთეტიკური აღზრდის ცენტრის ლიკვიდაცია და მის ბაზაზე საწავლო და სკოლის გარეშე მოზარდი თაობის მოსწავლე ახალგაზრდობის მხატვრული აღზრდის პროცესის განვითარებისთვის „განათლების ჰარმონიული განვითარების ცენტრის“ შექმნა

2001 - დროებითი სახელმწიფო - საგანმანათლებლო სტანდარტის, ელემენტარული, ძირითადი და საშუალო სკოლების სასწავლო გეგმების შექმნა

2002 - უმაღლესი სასწავლებლების აკრედიტაცია - ატესტაციის კრიტერიუმების შემუშავება

2002 - სკოლებში მასწავლებელთა ატესტაციის წესები

2002 - ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების სტატუსის შეცვლა, უმაღლესში მიღების წესის დამტკიცება

2002 - ქართული ტესტების აპრობაცია³

რეფორმის ამ ეტაპზე რადიკალურად შეიცვალა განათლების ვექტორი - ქართული ორიენტაციიდან გადავიდა დასავლურ /საერთაშორისო/ ორიენტაციაზე, ამასთან, განათლების სისტემაში დაიწყო საბჭოთა ღირებულებებთან ბრძოლა, რასთანაც, სამწუხაროდ, გაიგივდა ტრადიციული ქართული ღირებულებებიც, რომელიც წლების განმავლობაში შეერწყა საბჭოთა ღირებულებებს. ამ პერიოდში რეფორმის ორიენტირები არ ეფუძნებოდა ქართული საზოგადოების დაკვეთებს, არ იყო მიმართული მემკვიდრეობითობის შენარჩუნებისა და განვითარების პრინციპზე. ამდენად, პროექტების მიმდინარეობა ვერ გამოიღებდა სათანადო შედეგს სასწავლო პროცესის ხარისხის ამაღლების თვალსაზრისით. და ასეც მოხდა. მიუხედავად ეკონომიკური აღმავლობისა, სწავლების ხარისხის გაუმჯობესება ქვეყანაში არ მომხდარა.

რეფორმის მესამე ეტაპი - 2003 – 2012 წლები

საქართველოში მშპ-ს პროცენტული წილი განათლების სექტორზე ამ წლების მიხედვით

2004 - 2,3% 2005 – 2,2% 2013 – 2,5%;

2003 წელს საქართველოში მოხდა „ვარდების რევოლუცია“. ძირეულად შეიცვალა ქვეყნის პოლიტიკური კურსი. უდიდესი იყო ამ რევოლუციაში ქართველი ხალხის წილი. ხალხმა გულწრფელად დაიწყო ახლა უკვე გაცნობიერებული დემოკრატიული სახელმწიფოს შენება. ხალხმა კიდევ ერთხელ გააკეთა არჩევანი დასავლურ ორიენტაციაზე, დასავლურზე, ვინაიდან ევროპა ქართველი ხალხისთვის, უპირველეს ყოვლისა, ნაციონალურ ფესვებზე დაფუძნებული ცივილიზაციაა, რომელიც მიზანმიმართულად ცდილობს საკუთარი კულტურის განვითარებას სხვა კულტურათა გამოცდილების გაზიარებით. მაგრამ ვარდების რევოლუციის შედეგად მოსულმა ახალმა მთავრობამ სხვა გზა აირჩია. საქართველოში დაიწყო ტრადიციული ღირებულებების მიზანმიმართული ნგრევა საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში. საქართველოსთვის, უძველესი კულტურისა და ცივილიზაციის ქვეყნისათვის, ათვლის წერტილი ცხოვრების ყველა სფეროში, 2003 წლიდან დაიწყო. მთავრობამ რეფორმების განხორციელება „მოკური თერაპიის“ მეთოდით გადაწყვიტა. განათლების სფეროში დაიწყო რეფორმის მეორე ეტაპის ორიენტაციის ფორსირებული, გაუაზრებელი განხორციელება, რომელიც მიმართული იყო

The 2nd Teacher Conference “University and School”(Problems of Teaching and Education)
6-7 June, 2014. Materials

მხოლოდ ფასადური ცვლილებების შედეგზე, რათა გამართლებულიყო იმ თანხების ათვისება, რომელიც გამოყოფილი იყო დონორი ორგანიზაციების მიერ.

2003 წლის ნოემბრის რეკოლუციის შემდგომი ორი წლის განმავლობაში, საქართველოს ეკონომიკური შესრულების მაჩვენებლები მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა. გამოიკვეთა მშპ-ს მდგრად საფუძველზე ზრდის ტენდენცია და 2004 წელს ზრდის მაჩვენებელმა 6.3%-ს მიაღწია, ხოლო 2005 წელს ზრდის მაჩვენებელმა 7.7% შეადგინა. საქართველოში განათლებაზე გაწეული ხარჯები მშპ-ს დაახლოებით 2.3%-ს შეადგენს, რაც საკმაოდ დაბალია რეგიონის საშუალო მაჩვენებელთან შედარებით, რომელიც დაახლოებით 4.4%-ს შეადგენს. 2004 - 2.3% 2005 – 2,2%⁴

მიუხედავად დაჩქარებული პროცესებისა, ცვლილებები განათლების სფეროში მაინც სისტემურ ხასიათს ატარებდა. დონორი ორგანიზაციების მიერ დაფინანსებული პროექტების მიხედვით საჭირო იყო საქართველოს განათლების სისტემის სასწავლო პროგრამებისა და შეფასების მეთოდების მოდერნიზაცია, გარდა ამისა საჭირო იყო მასწავლებელთა განათლებისა და პროფესიული განვითარების ახალი პედაგოგიური მიდგომების დანერგვა, სკოლების ოპტიმიზაცია, მასწავლებელთა და მოსწავლეთა თანაფარდობის გაზრდა და განათლების სექტორის დაფინანსების ერთიანი სტრატეგიის შემუშავება.

2001 წელს საქართველოს მთავრობასა და განვითარების საერთაშორისო ასოციაციას შორის გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე, პროექტ „ილია ჭავჭავაძე“ - ის ძირითად მიზნებს წარმოადგენდა დაწყებითი და საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო სისტემის რეფორმისათვის აუცილებელი პოლიტიკური და ინსტიტუციონალური ბაზის შექმნა და ფიზიკური, ფინანსური და ადამიანური რესურსების ეფექტურად მართვის შესაძლებლობების გაუმჯობესება.

მიზნების შესაბამისად პროექტი დაიყო სამ ძირითად ნაწილად - A, B, C კომპონენტებად.

A კომპონენტის - საქართველოს დაწყებითი და ზოგადი საშუალო განათლების სისტემის მიზნების გარდაქმნა - ფარგლებში გამოიყო 4 ქვე-კომპონენტი :

- A1 – კურიკულუმის განვითარება
- A2 – ეროვნული შეფასება და გამოცდები
- A3 – მასწავლებელთა პროფესიული განვითარება/ტრენინგები
- A4 – სახელმძღვანელოები და სასწავლო მასალა

ეს კომპონენტი მიზნად ისახავდა ეროვნული სასწავლო გეგმების შემუშავებას და მისი დანერგვის დაწყებას, ასევე, სახელმძღვანელოების პოლიტიკის განსაზღვრას.

კომპონენტის ფარგლებში გათვალისწინებული იყო ეროვნული შეფასებისა და გამოცდების სისტემის ჩამოყალიბება; მასწავლებელთა ტრენინგების სტრატეგიის შემუშავება/განხორციელება; სკოლებისათვის სწავლების გაუმჯობესების მიზნით გრანტების გადაცემას, მათი პროფესიული განვითარების ხელშეწყობას.

B კომპონენტის - ცენტრალურ და ადგილობრივ დონეებზე პოლიტიკისა და მართვის უნარის გაძლიერება - ფარგლებში გამოიყო ორი ქვე-კომპონენტი :

- B1 – განათლების პოლიტიკა, მართვა და დაგეგმვა
- B2 – განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის (EMI) შექმნა

კომპონენტის მიზანი იყო განათლების პოლიტიკისა და სტრატეგიის განსაზღვრა; ფინანსური, ადამიანური და ფიზიკური რესურსების უფრო ეფექტიანად და გამჭირვალედ გამოყენების ხელშეწყობა. კომპონენტის ფარგლებში გათვალისწინებული იქნა განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის ჩამოყალიბება, რომელიც უზრუნველყოფდა განათლების სფეროს ყველა დონეზე გადაწყვეტილების მიმღები პირებისათვის განათლების სისტემაში არსებული მაჩვენებლების შესახებ სანდო და სისტემური ინფორმაციის მიწოდებას, ამასთან რესურს-ცენტრების ჩამოყალიბება, რომლებიც პედაგოგიურ კადრებს დახმარებას გაუწევენ მათი ფუნქციის შესრულებაში.

C კომპონენტის - **დახმარება პროექტის მართვის სფეროში** - ფარგლებში შედიოდა:

C 1 – პროექტის საკოორდინაციო ცენტრი

C 2 - საზოგადოების ინფორმირება პროექტის შესახებ

ეს კომპონენტი მიზნად ისახავდა პროექტის განხორციელების მხარდაჭერას; პროექტის ეფექტურ მართვასა და პროექტის სხვადასხვა ნაწილებს შორის კოორდინაციას. ასევე პროექტისათვის ფინანსური მენეჯმენტსა და ტექნიკური დახმარების გაწევას. ამავე კომპონენტის ფარგლებში გათვალისწინებული იყო განათლების რეფორმის შესახებ საზოგადოების ინფორმირება.⁵

სწორედ ამ კომპონენტების მიხედვით დაიწყო რეფორმა. ჩვენ განვიხილავთ მხოლოდ **A კომპონენტის** განხორციელების პროცესსა და შედეგებს. /აქვე აღვნიშნავთ, რომ ამ კომპონენტების განხორციელება დაიწყო 2001 წელს, თუმცა, როგორც ზემოთ აღვნიშნებთ, პროექტების განხორციელება, გარკვეული სოციალური მიზეზების გამო, შენელებულად მიმდინარეობდა/. საქართველოში განხორციელდა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ განათლების რეფორმის პროექტ „ილია ჭავჭავაძის“ ფარგლებში, **A კომპონენტის** შესაბამისად, განხორციელდა შემდეგი აქტივობები:

2004 წელს დამტკიცდა “ზოგადი განათლების ეროვნული მიზნები”

2005 წელს დამტკიცდა „საქართველოს კანონი ზოგადი განათლების შესახებ“

2006 წელს შეიქმნა რესურს - ცენტრები - მხოლოდ მაკოორდინირებელი ფუნქცია აქვთ.

ყველა ეს ცენტრი, ზემოთ აღნიშნულ გახსნის თარიღებამდე, 2002 წლიდან ფუნქციონირებდა, როგორც განათლების სამინისტროს სტრუქტურული ერთეულები.

ამ ცენტრების საქმიანობის შედეგად რადიკალურად შეიცვალა ზოგადი განათლების სისტემა საქართველოში. კერძოდ, განხორციელდა სისტემის ისეთი მარეგულირებელი ღონისძიებები, კერძოდ:

2004 წელს შეიქმნა ეროვნული გამოცდებისა და შეფასების ცენტრი

2004 წელს ცენტრის ექსპერტების მიერ მომზადდა მისაღები გამოცდების ახალი, ცენტრალიზებული მოდელი.

2005 წელს შეფასებისა და გამოცდების ეროვნულმა ცენტრმა წარმატებით ჩაატარა პირველი ერთიანი ეროვნული გამოცდები.

2005 წლიდან შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრი წარმართავს საერთაშორისო კვლევებს, რომელსაც მსოფლიოს საგანმანათლებლო სფეროში კარგად ცნობილი საგანმანათლებლო მიღწევების შეფასების საერთაშორისო ასოციაცია (IEA) უძღვება.

The 2nd Teacher Conference “University and School”(Problems of Teaching and Education)
6-7 June, 2014. Materials

2006 წელს გამოცდების ეროვნული ცენტრმა ჩაატარა წიგნიერების საერთაშორისო კვლევა (PIRLS) საქართველოში.

2007 წელს გამოცდების ეროვნული ცენტრმა ჩაატარა მათემატიკისა და საბუნებისმეტყველო საგნების სწავლისა და სწავლების კვლევა (TIMSS) საქართველოში.

2008 წელს გამოცდების ეროვნული ცენტრმა ჩაატარა დაწყებითი და საშუალო სკოლების მათემატიკის მომავალი მასწავლებლების განათლების საერთაშორისო კვლევა (TEDS-M) საქართველოში.

2009 წლიდან გამოცდების ეროვნულმა ცენტრმა ჩაატარა საერთო სამაგისტრო გამოცდა.

2010 წელს ცენტრმა დაიწყო მასწავლებელთა სასერტიფიკაციო გამოცდების ადმინისტრირება.

2011 წლიდან კი გამოცდების ეროვნული ცენტრი ატარებს სკოლის გამოსაშვებ გამოცდებს.

2011წელს გამოცდების ეროვნული ცენტრმა ჩაატარა წიგნიერების საერთაშორისო კვლევა (PIRLS) საქართველოში. ⁶

2006 წელს შეიქმნა ეროვნული სასწავლო გეგმების ცენტრი ⁷

ცენტრი ორიენტირებულია ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში განათლების ხარისხის გაუმჯობესებაზე.

ცენტრის ძირითადი მიზნებია:

- ეროვნული სასწავლო გეგმის მომზადება, პილოტირება და დანერგვის ხელშეწყობა;
- საჯარო სკოლაში მიმდინარე სასწავლო პროცესის ეროვნული შეფასებების სისტემის შემუშავება, დანერგვა, ეროვნული და სხვა შეფასებების განხორციელება;
- სახელმძღვანელოების ეროვნულ სასწავლო გეგმებთან შესაბამისობის დადგენა და რეკომენდებული სახელმძღვანელოს გრიფის მინიჭება.

2005 წელს მომზადდა ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებისათვის ეროვნული სასწავლო გეგმის ჩარჩო და დაიწყო მისი პილოტირება.

2006 წელს ეროვნული სასწავლო გეგმის ჩარჩოს შემუშავება და დანერგვა პილოტირების საფუძველზე

2007 შემუშავდა სახელმძღვანელოებითა და დამხმარე მასალებით სკოლების უზრუნველყოფის მექანიზმები. სწავლების და სწავლის დამხმარე მასალები მიიღო საქართველოს ყველა სკოლამ.

სახელმძღვანელოების ავტორებსა და რედაქტორებს ჩაუტარდათ სემინარები ახალი სტანდარტების შესაბამისი სახელმძღვანელოების შექმნასთან დაკავშირებით.

2005 -2012 ახალი ტიპის სახელმძღვანელოების შექმნა ყველა საგანში

2011 - ეროვნული სასწავლო გეგმის ახალი ვარიანტი 2016 წლამდე

2007 წელს შეიქმნა მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრი-tpdc.ge

მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის უმთავრესი მიზანია მასწავლებლის პროფესიის სტატუსის ამაღლება სკოლაში სწავლისა და სწავლების ხარისხის გაუმჯობესების მიზნით.

ცენტრის მიერ განხორციელებულია ღონისძიებები:

2005 წლიდან მასწავლებელთა ტრენინგები სკოლის ბაზაზე პროფესიული განვითარების პროგრამის ფარგლებში. ტრენინგი სასწავლო პრაქტიკაში ცვლილებების აუცილებლობის გაცნობიერებაზე. სასკოლო ქსელის საცდელი პროგრამების დანერგვა. აღნიშნულმა პროგრამამ ხელი შეუწყო სკოლებს შორის იზოლაციის დარღვევას და გამოცდილების გაზიარებას!

2006 წელს შეიქმნა მასწავლებელთა პროფესიული განვითარების კონცეფცია, რომელიც საფუძვლად დაედო კანონს ზოგასაგანმანათლებლო სკოლის და სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა მასწავლებელთა პროფესიული მომზადების შესახებ.

2007 წელს ცენტრმა შეიმუშავა მასწავლებლის პროფესიული სტანდარტი და მასწავლებლის ეთიკის კოდექსი, რომელიც საფუძველი გახდება უმაღლესი სასწავლებლებისათვის შესაბამისი პროგრამების მოსამზადებლად.

2007 წელს ცენტრმა შეიმუშავა მასწავლებელთა სერტიფიცირების მოდელი. სასერტიფიკაციო გამოცდების საშუალებით (იგეგმებოდა 2008 წლიდან, თუმცა პირველი სასერტიფიკაციო გამოცდა ჩატარდა 2010 წელს) მასწავლებელს მიანიჭება მასწავლებლობის უფლებას.

2008 წელს ცენტრმა შეიმუშავა და დანერგა მასწავლებელთა მაძიებლობის ინსტიტუტი

2005 - 20012 მასწავლებელთა პროფესიული კვალიფიკაციის სამუშაო ადგილზე ამალეობა და სატრენინგო პროგრამების მომზადება და დანერგვა

2005 -2012 თანამედროვე და ნოვატორული პედაგოგიური მეთოდების დანერგვა;

2008 წლიდან ცენტრი თავის საქმიანობას ორი უმთავრესი პრიორიტეტული მიმართულებით ახორციელებს:

- მოქმედი მასწავლებლების პროფესიული განვითარება;
- კვალიფიციური კადრების მოზიდვა, მათი მომზადებისა და პროფესიაში შენარჩუნების ხელშეწყობა.

მოქმედი მასწავლებლების პროფესიული განვითარებისთვის ცენტრი ატარებს გრძელვადიან და მოკლევადიან ტრენინგებს ყველა საგანსა და პროფესიულ უნარებში. ასევე ტარდება პროფესიული განვითარების ტრენინგები დირექტორებისთვის და სკოლების ადმინისტრაციებისთვის. გარდა ამისა იმართება სემინარები და კონფერენციენციები, რომლებშიც პედაგოგები აქტიურად არიან ჩართულები.

ცენტრი ასევე ახორციელებს სხვადასხვა პროგრამებს:

ასწავლე საქართველოსთვის-მაღალმთიან რეგიონებში კვალიფიციური კადრების გაგზავნა; ვასწავლოთ ქართული, როგორც მეორე ენა-ეთნიკური უმცირესობებით დასახლებულ რეგიონებში ქართული ენის სწავლების ხელშეწყობა;

მაძიებლობის პროგრამა-დამწყები მასწავლებლებისთვის პედაგოგის პროფესიაში შესვლის ხელშეწყობა;

ინკლუზიური განათლება-შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვების განათლების ხელშეწყობა;

ასწავლე და ისწავლე საქართველოსთან ერთად-ინგლისური ენის სწავლების ხელშეწყობის მიზნით სკოლებში ინგლისურენოვანი პედაგოგების ჩამოყვანა;

ქართული ენა მომავალი წარმატებისთვის-არაქართულენოვან მოსახლეობაში სახელმწიფო ენის განვითარების ხელშეწყობა;

მასწავლებელთა პროფესიული განვითარების სქემა-სერტიფიცირებული მასწავლებლების პროფესიული ზრდის ხელშეწყობა;

სკოლის ბაზაზე პროფესიული განვითარების პროგრამა (მიმდინარეობს პილოტირება)- მასწავლებლების მიერ სკოლის ბაზაზე მათი საჭიროებების დადგენა და პროფესიულ განვითარებაზე ზრუნვა.

გარდა ამისა მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნულ ცენტრს შექმნილი აქვს დირექტორის, პროფესიული სასწავლებლის პედაგოგის და მამიებლის სტანდარტები.

8

2010 - წელს შეიქმნა განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი - საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ⁹

ცენტრი არის სსიპ - განათლების აკრედიტაციის ეროვნული ცენტრის უფლებამონაცვლე.

ცენტრის მიზნები:

საგანმანათლებლო დაწესებულებებსა და სხვა დაინტერესებულ პირებთან თანამშრომლობით განათლების ხარისხის შიდა მექანიზმების ფორმირების ხელშეწყობა, გარე მექანიზმების განხორციელება და მათ შემდგომ სრულყოფაზე ზრუნვა;

საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების, ასევე, პროგრამის განმახორციელებელი პერსონალისა და პროგრამაზე ჩარიცხული პირების მონაცემთა ერთიანი ბაზის შექმნა;

მოსწავლეთა, პროფესიულ სტუდენტთა, სტუდენტთა და აკადემიური პერსონალის თავისუფალი გადაადგილების ხელშეწყობა სწავლის, სწავლებისა და კვლევის პროცესებში მონაწილეობის უზრუნველსაყოფად;

საქართველოს საგანმანათლებლო დაწესებულებების საერთაშორისო საგანმანათლებლო სივრცეში ინტეგრაციის ხელშეწყობა და მათ მიმართ ნდობის ამაღლება;

საგანმანათლებლო დოკუმენტების სანდოობისა და მინიჭებული კვალიფიკაციების დასაქმების ბაზართან კავშირის უზრუნველყოფა;

მიღებული განათლების სწავლის შედეგების მნიშვნელობისა და სახელმწიფოს მიერ აღიარებულ კვალიფიკაციებთან მათი შესაბამისობის შეფასება;

ქართული ენის განვითარებისა და ერთიანი სამეცნიერო-ტექნიკური ტერმინოლოგიის დამკვიდრების ხელშეწყობა.

ცენტრის მიერ განხორციელებული ღონისძიებები:

2004 წელს დაიწყო ინსტიტუციური აკრედიტაციის პროცესი განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ

2006 წლის დაფუძნდა სსიპ- საქართველოს საგანმანათლებლო დაწესებულებების სახელმწიფო სააკრედიტაციო სამსახური, რომელსაც დაევალა აკრედიტაციის პროცესი,

2006 - შეიქმნა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების აკრედიტაციის საბჭო

2006 წელს ჩატარდა ინსტიტუციური აკრედიტაცია

2006 - შეიქმნა აკრედიტაციის ექსპერტთა ეთიკის კოდექსი

2006 - შემუშავდა ინსტიტუციური აკრედიტაციის კრიტერიუმები

2006 - შეიქმნა დაწესებულების თვითშეფასების კითხვარი

2007 - ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების აკრედიტაცია - დებულების შექმნა

2007 - პროფესიული განათლების აკრედიტაცია - დებულების შექმნა

2008 - უმაღლესი სასწავლებლების აკრედიტაცია

2008 - ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების აკრედიტაცია

2008 - მასწავლებელთა პროფესიული განვითარების პროგრამების აკრედიტაცია

2007 - საგანმანათლებლო დოკუმენტების აღიარების პროცედურების შექმნა

2009 - უმაღლესი განათლების კვალიფიკაციათა ეროვნული ჩარჩო და დარგობრივი დოკუმენტები

2010 - მასწავლებლის პროფესიული განვითარების საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაცია

(2010 წელს სავალდებულო ლიცენზირებისა და ინსტიტუციური აკრედიტაციის ნაცვლად შემოღებულ იქნა ავტორიზაციის პროცედურა).⁹

განათლების რეფორმა, უპირველეს ყოვლისა, სწავლების ხარისხის ამაღლებაა. მიუხედავად განათლების სისტემის ასეთი სისტემური და მასშტაბური ცვლილებებისა, რომელიც თითქმის 12 წლის განმავლობაში მიმდინარეობდა, განათლების ხარისხი საქართველოში არა თუ გაიზარდა, არამედ, პირიქით, საგრძნობლად დაეცა. სკოლა თანდათან უინტერესო გახდა მოსწავლეთათვის, მესამე საფეხურზე - X - XII კლასები, პრაქტიკულად, ვეღარ ხერხდებოდა მოსწავლეთა დასწრების შენარჩუნება. ამას მშობელთა საზოგადოების დასტურმაც შეუწყო ხელი, ვინაიდან მშობელმა გააცნობიერა, რომ ბავშვი სკოლაში ცოდნას არ ეუფლება. საზოგადოებაში სკოლამ დაკარგა ავტორიტეტი და, სამწუხაროდ, ეს დღემდე ასეა. რეფორმის ამ პერიოდში სახელმწიფო იძულებული გახდა სკოლაში შემოეღო მანდატურის ინსტიტუტი და იძულებითი წესით დაებრუნებინა მოსწავლეები სკოლაში. მანდატურის უფლებები სკოლაში უსაზღვროდ დიდი იყო. იგი არა მხოლოდ მოსწავლეების, არამედ დირექტორებისა და მასწავლებლების ზედამხედველიც იყო. სკოლა, თავიდან ბოლომდე, ძალისმიერი მეთოდებითა და შიშის ფაქტორით იმართებოდა. ფაქტობრივად, განათლების რეფორმამ კრაზი განიცადა, რასაც ადასტურებს

როგორც საერთაშორისო, ასევე ადგილობრივი განათლების კვლევები. მოვიტანთ საქართველოში რეფორმის უხარისხოდ ჩატარების დამადასტურებელ მონაცემებს.

1. საერთაშორისო კვლევები

2006 წელი

9-10 წლის ბავშვთა წიგნიერების დონისა და მისი განმაპირობებელი ფაქტორების შესწავლა - **Timss** - საგანმანათლებლო მიღწევების საერთაშორისო ასოციაცია (IEA) -თან ერთად.

ქართველი ბავშვების წიგნიერების საშუალო მაჩვენებელი (471) სტატისტიკურად მნიშვნელოვნად ჩამორჩება საერთაშორისო სკალირებულ მაჩვენებელს, მოსწავლეთა 18% აღმოჩნდა მიღწევის საერთაშორისო სკალის დაბალი საფეხურის ქვემოთ ასოციაციის დონეების მიხედვით ქართველ ბავშვებთა 82% -ს ჰქონდა მიღწევების დაბალი დონე, 50% - ს -საშუალო დონე, 15% - ს - მაღალი დონე და 1% - ს - უმაღლესი დონე გაიწერა რეკომენდაციები და მნიშვნელოვანი აქტივობები, მაგრამ, ფაქტობრივად, არაფერი გაკეთდა.

2007 წელი – Timss

9-10 წლის ბავშვების ცოდნის შეფასება მათემატიკასა და საბუნებისმეტყველო საგნებში, 13-14 წლის მოზარდების ცოდნის შეფასება მათემატიკასა და საბუნებისმეტყველო საგნებში **მათემატიკაში** ქართველ ბავშვებს საერთაშორისო სკალირებულ საშუალოზე დაბალი მიღწევები აქვთ - მე-4 კლასი – 438, მე-8 კლასი - 410

მათემატიკაში მოსწავლეთა 33% აღმოჩნდა მიღწევის საერთაშორისო სკალის დაბალი საფეხურის ქვემოთ

ბუნებისმეტყველება ქართველ ბავშვებს საერთაშორისო სკალირებულ საშუალოზე დაბალი მიღწევები აქვთ, **მე-4 კლასი – 418, მე-8 კლასი – 421**

ბუნებისმეტყველებაში მოსწავლეთა 41% აღმოჩნდა მიღწევის საერთაშორისო სკალის დაბალი საფეხურის ქვემოთ⁶

2008 წელი - TEDS - მათემატიკის მასწავლებელთა განათლების შედარებითი კვლევა, რომელიც მიზნად ისახავს მომავალ მასწავლებელთა განათლების სისტემის სრულყოფას. ქართველი მასწავლებლები მიღწევის საერთაშორისო დონის ქვემოთ არიან. ⁶

2011 წელს წიგნიერებისა და საბუნებისმეტყველო საგნების კვლევა ხელმეორედ ჩატარდა, თუმცა განათლების სამინისტრომ შედეგები არ გაასაჯაროვა, გამოცდებისა და შეფასების ეროვნულ ცენტრს კი გაუუქმა შეფასების ფუნქცია. 2012 წელს, ახალი ხელისუფლების ინიციატივით, ცენტრს კვლავ აღუდგა შეფასების ფუნქცია, შესაბამისად, 2013 წელს ცენტრმა გამოაქვეყნა კვლევის შედეგები და შედარებითი ანალიზი. 2006 წელთან შედარებით, საქართველოს მოსწავლეებმა წიგნიერებაში გააუმჯობესეს შედეგები, თუმცა საშუალო მაჩვენებელი – 488 მაინც ჩამორჩება PIRLS - ის საშუალო მაჩვენებელს. მიღწევების დაბალ ზრვარს ქვემოთ აღმოჩნდა მოსწავლეთა 14%, მაშინ როცა ეს საერთაშორისო მაჩვენებელი 5%-ია. დაბალი მაცვენებელი აჩვენა მოსწავლეთა 86%-მა, საშუალო – 60%-მა, მაღალი – 21%-მა, უმაღლესი - 2%-მა.⁶

2. რეპეტიტორობის ფენომენის ზრდა

ქართული საზოგადოება, ისტორიულად, მისი სიმცირიდან და გეოპოლიტიკური მდგომარეობიდან გამომდინარე, ყოველთვის იყო ორიენტირებული განათლების ხარისხზე. დაინახა რა სკოლის მუშაობის შედეგი, საზოგადოებამ, მიუხედავად ეკონომიკური არასტაბილურობისა და, რიგ შემთხვევაში, სიდუხჭირისა, არჩევანი რეპეტიტორთა კლასზე გააკეთა. სწორედ რეპეტიტორთა კლასს უნდა ვუმადლოდეთ მოსწავლეთა მიღწევების შედეგების ოდნე ზრდას საერთაშორისო კვლევების შედეგად. კერძო რეპეტიტორთა ფენომენის კვლევა საქართველოში სამ ეტაპად განხორციელდა. განხორციელდა. პირველად 2004 წელს სოროსის ფონდის მიერ, შემდეგ 2009-10 წლებში განათლების პოლიტიკის, დაგეგმვისა და მართვის საერთაშორისო ინსტიტუტის მიერ, და 2011 წელს კვლავ განათლების პოლიტიკის, დაგეგმვისა და მართვის საერთაშორისო ინსტიტუტის (EPPM) მიერ, რომელიც USAID - ის მხარდაჭერით იქნა განხორციელებული. ამ კვლევის შედეგად თბილისის მოსახლეობის 59% თვლის, რომ რეპეტიტორთან სკოლის მოსწავლეთა უმეტესობა ემზადება, ხოლო რეგიონში ამ აზრს მხოლოდ 27% იზიარებს. ამავე კვლევის შედეგების მიხედვით 2010 წელს რეპეტიტორთან საქართველოს ყოველი მეოთხე მოსწავლე ემზადებოდა, თუმცა განსხვავებულია თბილისისა (35%) და სოფლის(19%) მასშტაბები. რა თქმა უნდა, რეპეტიტორობის უფრო მაღალი პროცენტი (87%) დამამთავრებელ კლასებშია, მაგრამ, სამწუხაროდ, დაწყებით სკოლაშიც კი რეპეტიტორობის მაჩვენებელი, ამ კვლევის თანახმად, 15% - ს აღწევს, საბაზო სკოლაში - 73% - ს, ხოლო საშუალო სკოლაში - 61%-ს. რა თქმა უნდა, რეპეტიტორთან მომზადება დაკავშირებულია ოჯახის ფინანსურ მდომარეობასთან, რაც ქმნის საქართველოში მოსწავლეთა განათლების არათანაბარ პირობებს. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ რეპეტიტორთა უმრავლესობას(69%), ოფიციალური აკრძალვის მიუხედავად, სკოლის მასწავლებლები წარმოადგენენ. ეს აიხსნება იმ ფაქტით, რომ სკოლის მასწავლებლებელთა გასამრჯელო გაცილებით ნაკლებია უმაღლესი სკოლის მასწავლებლის გასამრჯელოსთან შედარებით.⁴

ქვეყანაში კერძო რეპეტიტორთა ზრდა სასწავლო პროცესის დაბალი ხარისხის ერთ-ერთი მაჩვენებელია.

3. პედაგოგთა სასერტიფიკაციო გამოცდების შედეგები

პედაგოგთა სასერტიფიკაციო გამოცდები 2010 წელს დაიწყო. 2012 წლამდე გამოცდებში პედაგოგთა 59% - მა მიიღო მონაწილეობა.¹⁰

2013 წელს 26 000 -მდე პედაგოგი იყო დარეგისტრირებული, თუმცა 18% გამოცდაზე არ გამოცხადდა. 2013 წელს ვერ გადალახა ბარიერი მასწავლებელთა: მათემატიკაში - 86%-მა, სამოქალაქო განათლებაში- 82.6%-მა, ქიმიაში - 91%-მა, ბიოლოგიაში -77%-მა, სახვითი ხელოვნებაში- 74%-მა, ისტორიაში 57.2% - მა, გეოგრაფიაში 49% - მა, ფიზიკაში - 96%-მა./გამოცდას ფიზიკაში 356 პედაგოგი აბარებდა, თუმცა ზღვარის გადალახვა 342-მა პედაგოგმა ვერ შეძლო⁶ წლების მიხედვით პედაგოგთა გამოცდების შედეგები ასე გამოიყურება:

The 2nd Teacher Conference “University and School”(Problems of Teaching and Education)
6-7 June, 2014. Materials

	სულ დაფიქსირებული პედაგოგი	სერტიფიცირებული	მხოლოდ საგანი	მხოლოდ პროფ. უნარები	
2010	10 000	1200 პედ.	2435	1253	
2011	24 000	2500 პედ.	4000	5000	
2012	40 000	8000 პედ.			
2013	25 000				

2014 წლის ჩათვლით, პედაგოგთა სასერტიფიკაციო გამოცდები ყველა პედაგოგმა უნდა ჩააბაროს, წინააღმდეგ შემთხვევაში, კანონის გათვალისწინებით 2014 წლის შემდეგ მათ მასწავლებლობის უფლება ჩამოერთმევათ. ამჟამად, ხელისუფლება მიხვდა რა, რომ ეს შეუძლებელია, დაიწყო სტანდარტის ახალ ვარიანტსა და პედაგოგის განვითარების ახალ სქემაზე, თუმცა ამ სქემამ პროფესიულ საზოგადოებაში აზრთა სხვადასხვაობა გამოიწვია, რის გამოც პარლამენტის შესაბამისი კომისია წარდგენილი ფორმით მის დამტკიცებაზე ჯერ-ჯერობით არ თანხმდება.

4. სახელმძღვანელოები

სამწუხაროდ, სასკოლო სახელმძღვანელოების შესახებ ფართომასშტაბიანი კვლევა საქართველოში ვერ მოვიძიეთ. შეგვიძლია ვისაუბროთ მხოლოდ მასწავლებელთა და მშობელთა კერძო საუბრებზე, წუხილზე სახელმძღვანელოების ხარისხისა და ფასის შესახებ. მათი უმრავლესობა აღნიშნავს, რომ სახელმძღვანელოებში ფაქტობრივი მეცნიერული შეცდომებია, აღარაფერს ვამბობთ მათ მეთოდოლოგიურ და ლექსიკურ მხარეებზე. ამასთან, ამ პერიოდში სახელმძღვანელოების ღირებულება სერიოზულ ტვირთად აწვება ოჯახს. თითოეული კლასის კომპლექტი საშუალოდ, 200-250 ლარი ჯდება, რაც რამდენიმე სასკოლო ბავშვის შემთხვევაში, ოჯახისათვის საკმაოდ რთული გადასახდელია. და, რაც ყველაზე მთავარია, სახელმძღვანელოების გრიფირების პროცესი ვერ იყო დაზღვეული კორუფციის ელემენტებისაგან.

ზემოთ მოტანილი კვლევები, სავსებით ადასტურებს, რომ რეფორმის A კომპონენტმა, 4-ვე ქვეკომპონენტში კრაზი განიცადა. საქართველოში მოსწავლეთა სწავლის შედეგები დაბალია, მასწავლებელთა პროფესიული დონე დაბალია, სკოლა სერიოზული პრობლემების წინაშე დგას. ძნელია ისაუბრო კონკრეტულ მიზეზებზე. ცხადია, აქ მიზეზთა მთელი კომპლექსია, რომლებიც ერთმანეთთან ჯაჭვურად არიან გადაბმულნი და მრავალი ფაქტორით განპირობებულნი. ეს ვითარება სერიოზულ ანალიზს და ამ ანალიზის საფუძველზე ფართომასშტაბიანი კვლევების ჩატარებას საჭიროებს, რათა განისაზღვროს ის კონკრეტული აქტივობები და სტრატეგიები, რომლებიც ნელ-ნელა, თანდათანობით, მთელი საზოგადოებისა და ხელისუფლების ერთიანი ძალისხმევით შეძლებენ სკოლის არსებული კრიზისიდან გამოყვანას.

რეფორმის მეოთხე ეტაპი - 2012 დღემდე

საქართველოში მშპ-ს პროცენტული წილი განათლების სექტორზე ამ წლების მიხედვით -
მშპ - 2013 – 2,5%; მშპ -2014 – 2,6%

2012 წელს ქართველმა ხალხმა ხელისუფლება შეცვალა არჩევნების გზით. საზოგადოება კიდევ ერთხელ იმედით შეხვდა ახალ ხელისუფლებას, კიდევ ერთხელ დაიჯერა, რომ ქვეყანაში სამართლიანობა აღდგება და ქვეყანა ივლის დემოკრატიული განვითარების გზით. რასაც, ამავდროულად, ეროვნული ინტერესები და საჭიროებები დაედებოდა საფუძვლად.

ახალმა ხელისუფლებამ დაიწყო არსებული ვითარების რევიზია საზოგადოების განვითარების ყველა სფეროში და, თითქოსდა, დასახა მდგომარეობის გამოსწორების გზები. კვლავ დაიწყო რეფორმა განათლების სფეროში. რევიზიას და განახლებას დაექვემდებარა წინა მთავრობის მიერ გატარებული ღონისძიებები და შექმნილი მარეგულირებელი დოკუმენტები. საზოგადოებას კვლავ გაუჩნდა იმედი განათლების სისტემის მოწყობისა საკუთრივ ქართული საზოგადოების დაკვეთების შესაბამისად და მისი უშუალო მონაწილეობის მეშვეობით. მაგრამ ვითარება ამ მიმართებით არც თუ მარტივია. ხელისუფლებამ რეფორმა ყოველგვარი მასშტაბური კვლევების, ანალიზისა და შესაბამისი განათლების პოლიტიკის შემუშავების გარეშე დაიწყო. სისტემის სტრუქტურულ ერთეულთა მოდერნიზება არსებითად არ ეფუძნება სერიოზული კვლევის მონაცემებს და მხოლოდ სპონტანური, კონკრეტული სუბიექტების შეხედულებების დონეზე ხორციელდება, რაც იძლევა საფუძველს მის ფუნქციონალურ და პოზიტიურ შედეგს ეჭვის თვალით შევხედოთ. ასევე მნიშვნელოვანია, რომ წლების მანძილზე მიმდინარე რეფორმამ პროფესიულ საზოგადოებაზე თავისი ზეგავლენები დატოვა. პროფესიულ საზოგადოებას, რომელიც, როგორც კვლევებმა აჩვენა, ვერ გამოირჩევა მაღალი პროფესიონალიზმით, არ ძალუმს მენტალობისა და ღირებულებების მარტივად შეცვლა, მით უფრო, რომ ხელისუფლებაც არ ცდილობს განათლების ვექტორის რადიკალურ მოზრუნებას. განათლების სფეროს ყველა უწყებაში ახალ დოკუმენტებს, აქტივობებსა და სტრატეგიებს იგივე ადამიანები იმავე მეთოდებით, უცხოური მასალების პირდაპირი გადმოტანით ახორციელებენ. არავინ ფიქრობს, რომ საზოგადოების განვითარების საფუძველი თავად საზოგადოებამ უნდა შექმნას, საუკეთესო გამოცდილების გაზიარებით, რომელსაც საკუთარ ფესვებს და ღირებულებებს მოარგებს. სხვაგვარად შეუძლებელია ქვეყნის წინსვლა და ნებისმიერი რეფორმა ისეთივე კრიზისის ვითარებაში აღმოჩნდება, როგორც აქამდე განხორციელებული რეფორმები.

ახალმა ხელისუფლებამ 2012 წლიდან განათლების სფეროში უკვე განახორციელა რამდენიმე ცვლილება, კერძოდ,

- დაამტკიცა მასწავლებლის ახალი პროფესიული სტანდარტი, რომელიც შინაარსობრივად არ შეცვლილა, მოხდა მხოლოდ სტანდარტის დონეებად ჩაშლა ფინანსური დატვირთვის თვალსაზრისით. ცალსახად უნდა აღინიშნოს, რომ მასწავლებელთა და პროფესიული საზოგადოება ამ დოკუმენტისადმი უარყოფითადაა განწყობილი, მით უფრო, რომ სახელმწიფო ჯერაც ვერ ამტკიცებს მასწავლებლის პროფესიული განვითარების სქემას;

The 2nd Teacher Conference “University and School”(Problems of Teaching and Education)
6-7 June, 2014. Materials

- განსაზღვრა სკოლებში მანდატურის ინსტიტუტის ფუნქციები და მოვალეობები - აქაც არაფერი შეცვლილა;
- გააუქმა კანონი სწავლის 5 წლის ასაკში დაწყებასთან დაკავშირებით, რასაც საზოგადოება დადებითად შეხვდა.
- პირველივე წელს, ხელისუფლებამ აიძულა გამომცემლები, ფაქტობრივად, უფასოდ გადაეცათ სახელმძღვანელოები მოსწავლეებსათვის, რაც ფაქტობრივად, ხელისუფლების პიარ-აქცია უფრო იყო, ვიდრე განათლებაში დამატებითი ფინანსების ჩადება.

რეალურად ის პოზიცია, რომელიც რეფორმის განხორციელების პირველ ეტაპზე ჰქონდა სახელმწიფოს, ფაქტობრივად, ნიველირებულია, რაც არაკეთილსაიმედო შედეგის განცდას გვიტოვებს.

ასეთია ჩვენი ხედვა საქართველოში 25-წლიანი განათლების რეფორმების განხორციელების შესახებ, რეფორმებისა, რომლის შედეგები სწავლის ხარისხის ზრდის თვალსაზრისით, პოზიტიურის თქმის უფლებას, სამწუხაროდ, არ გვიტოვებს. მინდა იმედით დავასრულო ჩვენი სტატია, რისთვისაც მოვიშველიებ ქართველი საზოგადო მოღვაწისა და მწერლის, ილია ჭავჭავაძის სიტყვებს:

„აწმყო თუ არა გვწყალობს, მომავალი ჩვენია“

გამოყენებული ლიტერატურა:

1. Silova, Budiene, & Bray, 2006
2. განათლების სამინისტროს საარქივო მასალები
3. UIS, 2011
4. კერძო რეპეტიტორობის ფენომენის კვლევა საქართველოში, განათლების პოლიტიკის, დაგეგმვისა და მართვის საერთაშორისო ინსტიტუტი, თბილისი, 2011
5. განათლების სისტემის რეფორმის პროგრამის პირველი ფაზის (პროექტის) აღწერა
6. <http://neaec.ge/>
7. <http://ganatleba.org/>
8. <http://tpdc.ge/>
9. <http://eqe.ge/>
10. <http://www.issa-georgia.com/>